

საქართველოს კანონი

„კვების პროდუქტებისა და თამბაქოს წარმოების სფეროში ლიცენზიის გაცემის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „კვების პროდუქტებისა და თამბაქოს წარმოების ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 2003 წლის 3.06 პირველი ნაწილი №14) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „კვების პროდუქტების სფეროში ლიცენზიის გაცემის შესახებ“

2. პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო
ეს კანონი აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე კვების (მათ შორის, ბავშვთა კვების) პროდუქტების წარმოების სფეროში ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს ლიცენზირებადი წარმოების სახეებს, ადგენს სალიცენზიო პირობებს.“

3. მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ყველა სხვა სახის კვების (მათ შორის, ბავშვთა კვების) პროდუქტების წარმოების სფეროში ლიცენზირებადი წარმოების სახეებია:

- ა) ჩაის გადამუშავება ან/და დაფასოება;
- ბ) ყავის გადამუშავება ან/და დაფასოება;
- გ) ფქვილის წარმოება ან/და დაფასოება;
- დ) ბურღულეულის წარმოება ან/და დაფასოება;
- ე) მაკარონის ნაწარმის წარმოება ან/და დაფასოება;
- ვ) პურ-ფუნთუშეულის წარმოება ან/და დაფასოება;
- ზ) მარცვლეულისა და მარცვლოვანი პარკოსნების დაფასოება;
- თ) შაქრის წარმოება ან/და დაფასოება;
- ი) თაფლის გადამუშავება ან/და დაფასოება;
- კ) სახამებელ-ბადაგის წარმოება ან/და დაფასოება;
- ლ) შაქროვანი საკონდიტრო ნაწარმის წარმოება ან/და დაფასოება;
- მ) ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმის წარმოება ან/და დაფასოება;
- ნ) ხილის გადამუშავება ან/და დაფასოება;
- ო) ბოსტნეულის და სოკოს გადამუშავება ან/და დაფასოება;
- პ) კაკლოვანი კულტურის გადამუშავება ან/და დაფასოება;
- ჟ) ხორცის გადამუშავება ან/და დაფასოება;

- რ) ხორცის პროდუქტების წარმოება ან/და დაფასოება;
- ს) ხორცის და ხორც-ბოსტნეულის კონსერვების წარმოება;
- ტ) კვერცხის პროდუქტების წარმოება ან/და დაფასოება;
- უ) რძის პროდუქტების წარმოება ან/და დაფასოება;
- ფ) ცხოველური ცხიმების წარმოება ან/და დაფასოება;
- ქ) ნაყინის წარმოება ან/და დაფასოება;
- ღ) ყველის წარმოება ან/და დაფასოება;
- ყ) მცენარეული ზეთების (ზეთი, მარგარინი, მაიონეზი) წარმოება ან/და დაფასოება;
- შ) თევზისა და ზღვის სხვა პროდუქტების გადამუშავება ან/და დაფასოება;
- ჩ) საგემონო პროდუქტების წარმოება ან/და დაფასოება;
- ც) საკვებდანამატების წარმოება ან/და დაფასოება;
- ძ) ბავშვთა კვების პროდუქტების წარმოება ან/და დაფასოება."

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს „ნავთობპროდუქტებისა და თამბაქოს სფეროში ლიცენზიების გაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

თბილისი.
200 წლის -----